სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის

ბრძანება N 4-21

2021 წლის 2 თებერვალი

თბილისი

სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ 2021-2022“ საერთაშორისო საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 52-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის N180/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის დებულების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის და მე-4 მუხლის „ნ“ და „პ“ ქვეპუნქტების და „Stipendium Hungaricum” პროგრამის ფარგლებში 2021-2023 წლებისთვის თანამშრომლობის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროს შორის 2020 წლის 6 ივლისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum” 2021-2022“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის N42-20 ბრძანებით დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამის - „სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum“ 2021-2022“ საერთაშორისო საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ანიკო ფარკაში - საქართველოში უნგრეთის ელჩის მოადგილე;
ბ) ზოლტან ჰეგი - საქართველოში უნგრეთის საელჩოს პირველი მდივანი;
გ) ნინო ჩინჩალაძე - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრი“-ს აღმასრულებელი დირექტორი;
დ) ხატია ცირამუა - ცენტრის კურსდამთავრებული.

2. საერთაშორისო საკონკურსო კომისია:

ა) კონკურსანტთა შერჩევის მიზნით შეიმუშავებს და ამტკიცებს შეფასების კრიტერიუმებს/ფორმებს;

ბ) იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე, მათ შორის კვოტების განსაზღვრისა და ქულობრივი ზღვრის დადგენის შესახებ;

გ) კონკურსანტთა ნომინირების მიზნით განიხილავს და აფასებს კონკურსანტის ელექტრონულ განაცხადს, მათ შორის ინგლისურ ენაზე, „სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამის - „სასტიპენდიო პროგრამები უნგრეთში „Stipendium Hungaricum" 2021-2022" დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის 2020 წლის 12 ნოემბრის N42-20 ბრძანებით დამტკიცებული სასტიპენდიო პროგრამითა და „Stipendium Hungaricum" პროგრამის ფარგლებში 2021-2023 წლებისთვის თანამშრომლობის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროს შორის 2020 წლის 6 ივლისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით დადგენილი საკონკურსო პროცედურის შესაბამისად.

დ) კონკურსანტთა ნომინირების მიზნით, უფლებამოსილია კონკურსის მესამე - გასაუბრების ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს დაუსვას ნებისმიერი (ერთი ან რამდენიმე) შეკითხვა, რომელიც მიაჩნია საჭიროდ დადგენილი კრიტერიუმებით/ფორმით კონკურსანტის შეფასებისთვის. კონკურსის მესამე - გასაუბრების ეტაპი ჩატარდება ინგლისურ ენაზე;

ე) საკონკურსო კომისიის თითოეული წევრი ელექტრონული სისტემის მეშვეობით დამოუკიდებლად აფასებს კონკურსანტებს.

3. საკონკურსო განაცხადი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა შეაფასოს საკონკურსო კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა;

4. კომისიის საქმიანობას უძღვება კომისიის თავმჯდომარე. თავმჯდომარეს ირჩევს კომისია საკუთარი შემადგენლობიდან, დამსწრე წევრთა უმრავლესობით

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

7. საკონკურსო კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.

8. კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონკურსანტების პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა, როგორც საკონკურსო პროცესის მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ.

9. ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ახალი კორონავირუსის (COVID-19) ქვეყანაში გავრცელების აღკვეთის და პრევენციის მიზნით კომისიის საქმიანობა წარიმართოს დისტანციურად, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით.

10. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

11. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6.)

საფუძველი:

ა) საქართველოში უნგრეთის ელჩის ვიქტორია ჰორვატის 2021 წლის 27 იანვრის წერილი (შიდა N37170);

ბ) ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრი"-ს აღმასრულებელი დირექტორის - ნინო ჩინჩალაძის 2021 წლის 29 იანვრის განცხადება (შიდა N42321);

გ) ცენტრის კურსდამთავრებულის - ხატია ცირამუას 2021 წლის 29 იანვრის განცხადება (შიდა N41689).

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო ჭელიძე

LEPL INTERNATIONAL EDUCATION CENTER
205319350